

ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში გამართული
საჯარო დისკუსია თემაზე:

„რა გავლენა აქვს პოლიტიკურ კულტურას ამომრჩეველთა ნების
თავისუფლებაზე? – საარჩევნო ადმინისტრაციის როლი“

ძირითადი მომხსენებლები:

ლევან თარხნიშვილი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

გიორგი ჩხეიძე – „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე

მოდერატორი: გოგი გვახარია

გოგი გვახარია – მოგესალმებით. ბუნებრივია, არჩევნების დასრულების შემდეგ ჰაინრიხ ბიოლის ფონდი უყურადღებოდ არ დატოვებდა ამ თემას. ჩვენ მოვიფიქრეთ სათაური, რომელმაც, შესაძლოა, ბევრი საგონებელშიც ჩააგდო – „რა გავლენა აქვს პოლიტიკურ კულტურას ამომრჩეველთა ნების თავისუფლებაზე? – საარჩევნო ადმინისტრაციის როლი“. შესაძლოა, ბევრს აღარც აინტერესებს არჩევნების თემა და აღარ მიიჩნევს მას აქტუალურად. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, განსაზღვრავს, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას. მე მიწოდდა მედიაზეც გვესაუბრა, მედიის, როგორც სუბიექტის, პოლიტიკურ კულტურაზეც, მაგრამ სამწუხაროდ, ქნმა მაკა ანთიმემ დღეს ვერ მოახერხა მოსვლა. ასე რომ, დღეს ორი მომხსენებელი გვყავს. ჩვენი სტუმრები არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გიორგი ჩხეიძე.

მოდით, ჯერ ბატონ ლევანს მოვუსმინოთ. რა არის თქვენი აზრით, პოლიტიკური კულტურა და რამდენად ზრუნავდა ცესკო ამომრჩეველთა პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე არჩევნების წინ.

ლევან თარხნიშვილი – პოლიტიკური კულტურა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე არჩევნებია, თუნდაც ზოგადად, ინსტიტუტი, და მით უმეტეს, ცალკე აღებული არჩევნები. არჩევნები ლაკმუსის ქაღალდივითაა, რომლიც გვაჩვენებს რა მდგომარეობაშია საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი, მედია და ა.შ. და რამდენად არის იგი მზად, ჩაატაროს დამოუკიდებელი, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები. პრინციპში, ითვლება, რომ არჩევნების ჩატარება და წარმართვა საარჩევნო ადმინისტრაციის მონოპოლიზებული უფლება და პასუხისმგებლობაა. რა თქმა უნდა, საარჩევნო ადმინისტრაციას დიდი პასუხისმგებლობა

აქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საარჩევნო სისტემა შედგება ბევრად უფრო ფართო სპექტრისგან, ვიდრე საარჩევნო ადმინისტრაცია და საარჩევნო კომისიები.

რას წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი – დღევანდელი კანონმდებლობით, საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება სამი დონისგან. ესენია ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. თითოეულ მათგანში 13 წევრია, მათგან 7 მივლენილია პოლიტიკური პარტიების მიერ. პოლიტიკური პარტიების მიერ სულ 24 ათასი საარჩევნო ადმინისტრატორია წარმოდგენილი. შესაბამისად, მათი როლი ძალიან დიდია.

საარჩევნო კლიმატის წარმოქმნაში ასევე დიდ როლს თამაშობენ თვითონ ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში. მინდა შეგახსენოთ ის საარჩევნო ატმოსფერო, რომელიც გვქონდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს და რომელიც გამოჰყვა საპარლამენტო არჩევნებსაც. პრინციპში, ამაში ყველაზე ნაკლები როლი ადმინისტრაციამ ითამაშა, ბევრად უფრო ფართო იყო პოლიტიკური პარტიებისა და მედიის როლი. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი პოლიტიკური პარტია არასათანადოდ აფასებს მათ მიერ გაკეთებული განცხადებების თუ მათი ქმედებების როლს. იგივე შეიძლება ითქვას ადმინისტრაციაზე, არასამთავრობო სექტორზე, მედიასა და ამომრჩეველზეც. შესაბამისად, თუ ამ ხუთი კომპონენტიდან რომელიმე სუსტია და ვერ ან არ ასრულებს თავის მოვალეობას, ჩნდება პრობლემები.

დავიწყოთ ამომრჩევლით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს არ არის პირველი არჩევნები, მაინც არ ჩამოყალიბებულა არჩევნების კულტურა. ჩვენ ხშირ შემთხვევაში გვყავს უფრო პასიური ამომრჩეველი, რომელიც უბრალოდ, არჩევნებიდან არჩევნებამდე, მოდის და აძლევს ხმას, და რაღაც პერიოდში ერთხელ იფეთქებს მასში სოციალური ან სხვა სახის დაგროვილი მუხტი, რასაც მივყავართ იმ მოვლენებამდე, რომლებიც განვითარდა 1990, 1992, 2003 და 2007 წლებში. სამოქალაქო კულტურის ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრული ჩამოყალიბება საქართველოში ჯერჯერობით არ მომხდარა. შესაძლოა, ეს ჩემი პირადი აზრია.

გოგი გვახარია – იქნებ, კონკრეტული მაგალითები დაგვისახელოთ. რაში ვლინდება ეს.

ლევან თარხნიშვილი – თუნდაც იმაში, რომ მუდმივად არის საუბარი ზეწოლაზე, მაგრამ თუ შევადარებთ თეორიულად ზეწოლილი ადამიანების რაოდენობას იმ კონკრეტული ადამიანების სახელებსა და გვარებს, ვინც თქვა, რომ მათზე განხორციელდა ზეწოლა, ვნახავთ, რომ მათ შორის სხვაობა ძალიან დიდია. მოქალაქეებს უჭირთ ასეთი სახის აღიარებები, განცხადებების დაწერა. იგივე შეიძლება ითქვას არასამთავრობო სექტორზეც. როდესაც საუბრობენ ზეწოლაზე, ყველას ავიწყდება ხოლმე, რომ ზეწოლა მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ არ ხორციელდება. ზეწოლა მიმდინარეობდა არა მარტო დამკვირვებლებზე, არამედ კომისიის წევრებზეც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან. ჩვენი მუდმივი პრობლემაა ობიექტურობა. ეს წარმოშობს ეჭვებს და უნდობლობას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს იმას, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება არჩევნების ჩატარებაც და შედეგებიც. კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანა შემიძლია. მუდმივად საუბრობენ საარჩევნო სიებზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ აბსტრაქტული ცნებებით შემოვიფარგლებით. ჩვენ კი რეაგირებისთვის ვითხოვთ კონკრეტული მაგალითების დასახელებას. 23 დღის განმავლობაში სულ 30 ათასამდე სახელი და გვარი დასახელდა, მაშინ როცა საუბარი იყო მილიონობით დარღვევაზე.

ყველა პოლიტიკურ პარტიას და არასამთავრობო ორგანიზაციას გადაეცა სიების ელექტრონული ვერსია. სია ცოცხალი ორგანოა და მას შემოსული ინფორმაციის შესაბამისად, ყოველდღიური, მუდმივი ტექნიკური და მექანიკური დამუშავება სჭირდება. სახელმწიფო სტრუქტურებიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სიებზე ინფორმაცია

წელიწადში ორჯერ შემოდის. იქიდან გამომდინარე, რომ სიებზე ბოლო ინფორმაცია ცესკოში პირველ თებერვალს იყო შემოსული, არჩევნები კი 21 მაისს ტარდებოდა, ანუ, მათ შორის, რამდენიმე თვე იყო, სახელმწიფო სტრუქტურებს ამ პერიოდში განახლებული სიების სამჯერ დამატებით შემოტანა ვთხოვეთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ადამიანები, რომლებიც პირველი თებერვლიდან 21 მაისამდე გამოცვლიდნენ პირადობის მოწმობას, სიის გარეთ დარჩებოდნენ. ამის გამო სიები მივიღეთ პირველ აპრილს. მისი ხელახალი გადამუშავების შემდეგ ახალი სიები მივიღეთ პირველ მაისს და ბოლოს, 4 მაისს. გარდა ამისა, შემოდიოდა მოსახლეობის და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებიც სიებთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, პოლიტიკური პარტიების მხრიდან სულ შემოსული იყო 30 ათასი ადამიანის სახელი და გვარი. ეს იყო ოცდასამდღიანი მუშაობის შედეგი. ამ 30 ათასიდან უმეტესობა განცხადებებისა თითქოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანებზე მოდიოდა. ეს იმის შედეგია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ან არ იციან საქართველოს კანონმდებლობა, ან მათ შეგნებულად შეჰყავთ შეცდომაში საქართველოს მოსახლეობა, იმიტომ რომ სია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვის, ერთიანია. ასე რომ, როდესაც პასუხისმგებლობაზე მიდგება საქმე, იგი ყველამ ერთნაირად უნდა გაიზიაროს და პოლიტიკური პოპულიზმის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დააყენონ საარჩევნო პროცესი და მთლიანად, საარჩევნო ინსტიტუტი. ძალიან დიდი დისბალანსია ხოლმე თითოეული სუბიექტის საჯარო განცხადებასა და რეალურად მოწოდებულ მატერიალს შორის, რაც ძალიან სამწუხაროა.

რაც შეეხება იმას, რა გაკეთდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ჩვენ პირველად დავამყარეთ მჭიდრო ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან და ვცადეთ, ერთობლივად გაგვეკეთებინა ბევრი რამ. ჩემი აზრით, ამ ექსპერიმენტმა გაამართლა და ღირს მისი განვითარება. ეს ერთობლივი მუშაობა კი იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ მთელ რიგ საკითხებში ჩამოვყალიბეთ ერთობლივი ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, საჯარო პირების ჩართვა არჩევნებში, როგორ გვესმის პოლიტიკური ფიგურების ჩართვა ამ პროცესში. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმაზე, კანონი კარგია თუ ცუდი. ეს სხვა დისკუსიის თემაა და იმაზე, მასში რაიმე ცვლილების შეტანა ხომ არ იქნება საჭირო, არჩევნების დასრულების შემდეგ შეიძლება საუბარი. მაგრამ ის კანონი და ჩარჩოები, რომლებიც არსებობს, იმისთვის არის, რომ ჩვენ მათ დავემორჩილოთ და მივყვეთ. სწორედ აქედან გამომდინარეობს მემორანდუმი, რომელიც შემდგომ ერთობლივ განცხადებაში გადაიზარდა, ამის შემდეგ ერთობლივ ბიულეტენში, რომელიც გადაეგზავნა ყველა სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმმართველობას. მეორე მაგალითი იყო, როდესაც ერთობლივად ვიხილავდით გასაჩივრების ფორმებს და გასაჩივრების მექანიზმს, რომლის ბაზაზეც შეიქმნა საჩივრების ინსტრუქცია. ამასთან, ერთობლივად დავამზადეთ საჯარო მოხმარების პროდუქტები – ბროშურები და ბუკლეტები. მათ ჰქონდათ არა მარტო ცესკოს, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ლოგოც და ერთად ვავრცელებდით. იყო საკმაოდ საინტერესო პროექტი, ავტობუსებით ტური საქართველოს გარშემო, რომელსაც გაერო და ევროკავშირი აფინანსებდა. მე მიმაჩნია, რომ არასამთავრობო სექტორისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ერთობლივი მუშაობა ზრდის გამჭვირვალობის დონეს და არჩევნების მიმართ ნდობის ხარისხს. პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისითაც, ამომრჩეველს უჩვენებს, რომ მაშინაც კი, როდესაც არსებობს უთანხმოება არჩევნების ორგანიზატორებსა და დამკვირვებლებს შორის, რაც თავისთავად იწვევს დისბალანსს, მაინც არსებობს თემები, რომლებზეც შეიძლება შეთანხმება. იდეალურია სისტემა, როდესაც იგივე შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკურ პარტიებთან და მედიის წარმომადგენლებთან. თუ არ ვცდები, თებერვალში, მალტაში ჩატარდა არჩევნები. წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციურმა პარტიამ გაიმარჯვა. დიდი ზეიმი იყო მათ რიგებში, თუმცა, ოთხი დღის შემდეგ, წინასწარი შედეგების გადასინჯვის შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციამ ბოლიში მოიხადა და თქვა, რომ მათ შეეშალათ და რეალურად, ოპოზიციამ კი არა, მმართველმა

ძალამ გაიმარჯვა. ოპოზიციამ მაშინვე შეწყვიტა ზეიმი და მიულოცა გამარჯვება მმართველ პარტიას.

გოგი გვახარია – წინასაარჩევნო კამპანია როგორ მიმდინარეობდა. მედიის მუშაობაში თუ დააფიქსირა დარღვევები საარჩევნო ადმინისტრაციამ?

ლევან თარხნიშვილი – მედიის მუშაობაში იყო დისბალანსი. გავიხსენოთ ბოიკოტი ჯერ ოპოზიციური ძალების მხრიდან მთელი რიგი ტელევიზიების მიმართ, შემდეგ კი, პირიქით, ტელევიზიების მხრიდან ოპოზიციური პარტიების მიმართ. ამან, რა თქმა უნდა, აპრილის პირველ ნახევარში დიდი დისბალანსი წარმოშვა იგივე „მზეზეც“ და „რუსთავი2-ზეც“, რაც დაფიქსირებულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მედია-მონიტორინგის მასალებში. თუმცა, შემდეგ, როდესაც ეს ბოიკოტი მოიხსნა, „რუსთავი2-ზე“ დაბალანსდა სიტუაცია. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავიდანვე იცავდა ბალანსს და ბოლომდე ასე იყო. ეს თავიდან აღიარეს პოლიტიკურმა ძალებმა, თუმცა შემდეგ გადათქვეს. ციფრების მიხედვით, იქ არსებობდა ბალანსი. იყო ძალიან დისბალანსური ტელევიზიები: „მზე“ – სამთავრობო მხარეს, „კავკასია“ კი, ოპოზიციის მხარეს.

გოგი გვახარია – ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თუ ჰქონდა მათზე ზემოქმედების საშუალება.

ლევან თარხნიშვილი – ჩვენ მხოლოდ მონიტორინგის უფლება გვაქვს. შემდეგ მიღებული ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, რომელმაც უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, ეს გადახრები ექვემდებარება თუ არა ლიცენზიაზე კანონმდებლობის პირობებს. თუმცა, არსებობს რამდენიმე სფერო, რომელიც უშუალოდ ცესკოს პრეროგატივაა. ესენია საარჩევნო რეკლამაზე მონიტორინგი, ანუ, იყო თუ არა ფასი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის ერთი და იგივე, და იყო თუ არა უფასო რეკლამა ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამ მხრივ, სიტუაცია კანონს ექვემდებარება. მეორე პრეროგატივაა, ტელევიზიებს და მაუწყებლებს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი განეთავსებინათ პოლიტიკური რეკლამა, მუდმივად მიეწოდებინათ ცესკოსთვის ინფორმაცია ფასებზე, დროსა და განთავსებაზე, და შემდეგ რეპორტი, სადაც ასახული იქნებოდა ეს პროცესი. ეს პირობა ტელევიზიებმა შეასრულეს. იყო პატარა ამოვარდნები, რომლებიც მონიტორინგის ჯგუფმა დააფიქსირა და მათზე ცენტრალური საარჩევნო კომისია უახლოეს მომავალში იმსჯელებს. სხვა მხრივ, მედიის მხრივ, პრობლემები არ ყოფილა. თუნდაც „გორბის“ მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევის თანახმად, სიუჟეტების 95% ნეიტრალურ ხასიათს ატარებდა. რა თქმა უნდა, ზოგადად, მედიის როლი ძალიან დიდია, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვალსაზრისით. ის დაძაბულობაც, რომელიც მთლიანად გასდევდა ფონად, განსაკუთრებით საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდს, აისახებოდა მედიაშიც.

გოგი გვახარია – ვაკეში იყო ასეთი შემთხვევა, ხალხს ურეკავდნენ 4, 5 საათზე და ეკითხებოდნენ, აპირებდნენ თუ არა არჩევნებზე წასვლას, თან ეუბნებოდნენ, რომ როგორც მათთვის იყო ცნობილი, ისინი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ აპირებდნენ ხმის მიცემას. თუ შემოიტანა ვინმემ ამის თაობაზე საჩივარი ცესკოში?

ლევან თარხნიშვილი – ასეთ შემთხვევას მე ვერ ვიხსენებ. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამაში დარღვევა არც ყოფილა. იმიტომ რომ ნებისმიერ პარტიას აქვს უფლება შეაგროვოს ინფორმაცია თავის ამომრჩეველზე და მოუწოდოს მას არჩევნებზე წასვლისკენ. თუ, რა თქმა უნდა, ეს ზეწოლისა და დაშინების გზით არ ხდება. შეგახსენებთ, არჩევნების დღეს აგიტაცია საქართველოში აკრძალული არ არის. არჩევნების დღეს

აკრძალულია სამი რამ – სოციოლოგიური კვლევის შედეგების გამოქვეყნება 8 საათამდე, მათ შორის ეგზიტპოლებისაც, აგიტაცია უბნის შიგნით და ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამა ტელევიზიასა და რადიოში.

გოგი გვაზარია – გმადლობ. მოდით, ახლა გიორგი ჩხეიძეს მოვუსმინოთ.

გიორგი ჩხეიძე – მოგესალმებით, მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენთან ერთად ვარ და მაქვს ამ თემაზე საუბრის საშუალება. ჩემი აზრით, პოლიტიკურმა კულტურამ ამომრჩევლების ნების თავისუფალ გამოვლინებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო გასული არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდიდან მოყოლებული, საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი მოვლენები და ის პროცესებიც, რომლებიც ვითარდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში. ამის მიზეზია ის, რომ პარტიების საქმიანობა როგორც დასავლეთშია მიღებული, იმ ფორმით არ განვითარებულა. იგი არ ყოფილა დაკავშირებული მათი პროგრამების წარდგენასა და დებატების კულტურასთან. ეს ჩვენს მედიასივრცეშიც ნაკლებად არის განვითარებული. პარტიების საქმიანობა ჩვენში, უმეტესწილად ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებასა და მატერიალური ფასეულობის დარიგებას უკავშირდება. ამ პრობლემაზე ჩვენ ადრეც ბევრი გვისაუბრია. მოდით, მას ჯერ პრობლემად შევაფასებ. იყო ინფორმაცია დაშინებასა და ზეწოლაზეც. გარემომ, რომელიც იყო წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ცუდი გავლენა მოახდინა არჩევნების დღეზეც და შემდგომ პროცესებზეც, და საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველამ ვერ ავიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და ვერც ის შევძელით, რომ ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე პოლიტიკურ გარემოს და კულტურას უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა. როგორ შეიძლება დაეხმარო ამომრჩეველს – ეს არის მისი ინფორმირება, რათა იგი არ შევიდეს შეცდომაში. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ, უნდა ხედავდეს სამართლიანობას და სჯეროდეს, რომ მის მიერ გამოვლენილი ნდობა არ იქნება დაკარგული.

ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ძალიან ბევრი გაკეთდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების დროს ძალიან დიდი მხარდაჭერა იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ყველამ სცადა, რომ რაც შეიძლება მეტად ყოფილიყო ინფორმირებული ამომრჩეველი. ამისთვის კლიპებისა თუ ბროშურების მეშვეობით საარჩევნო ადმინისტრაციამაც ბევრი რამ გააკეთა. ამ პროცესში ჩვენც ვცდილობდით წვლილის შეტანას.

რას ვგულისხმობთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში. სამწუხაროდ, არც პირველები ვართ და არც უკანასკნელები, ვინც ამაზე ვლაპარაკობთ, კვლავ ფიქსირდება პარტიის რესურსსა და სახელმწიფოს რესურსს შორის განმასხვავებელი ხაზის არარსებობის პრობლემა. ამაზე ყოველთვის გვპასუხობენ, რომ ასეთია კანონი, რომელიც შეიცვალა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და პოლიტიკურ სუბიექტებს საქმიანობისთვის სუპერლიბერალური გარემო შეუქმნა რესურსების გამოყენებაზე არსებული შეზღუდვების შერბილებით. თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს სახელმწიფო ორგანოებს ეკრძალებოდა მის საკუთრებაში არსებული რესურსის პარტიისთვის გამოყენება, ამ არჩევნებისთვის მას კი არ ეკრძალებოდა ამის გაკეთება, სხვა პარტიებისთვისაც თანაბარ პირობებში უნდა დაეთმო იგი. აქ ისმება კითხვა, რამდენად არის სუპერლიბერალური კანონმდებლობა ჩვენი გარემოსთვის, საქართველოში არსებული გარემოსთვის მიზანშეწონილი და რამდენად არიან მოქალაქეები დაცულები, რომ არ შევიდნენ შეცდომაში. როდესაც ეს კანონი შეჰქონდათ პარლამენტში, ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რომ არ შეიძლებოდა მისი მიღება. იმიტომ არა, რომ განვითარებულ ლიბერალურ დემოკრატიაში არ შეიძლება არსებობდეს მსგავსი ლიბერალური ნორმები, რომლებიც პარტიას მისცემს საშუალებას კონკურენციის შედეგად გამოიყენოს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა რესურსი და საზოგადოებას თავი მოაწონოს, არამედ, ჩვენ მაშინაც მიეუთითებდით ქვეყანაში მექანიზმების არარსებობაზე არბიტრისთვის, რომელიც გააკონტროლებდა ამ ნორმების მუშაობას.

საარჩევნო ადმინისტრაცია უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო და გადაემოწმებინა, რამდენად სრულდებოდა არსებული ნორმები პოლიტიკური სუბიექტების მიერ. ამ მიმართულებით გადაიღება ნაბიჯი. მისასალმებელი იყო მემორანდუმის შექმნის შესახებ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოთქმული სურვილი. ჩვენც გამოვთქვით საამისოდ მზადყოფნა. მემორანდუმში უნდა შევთანხმებულიყავით გარკვეული ნორმების ინტერპრეტაციაზე. ეს ასეც მოხდა, შემდეგ ბროშურებიც მომზადდა და პარტიებსაც დაურიგდა, მაგრამ იმის გასარკვევად, რამდენად იყო ეს ნორმები დაცული, უკვე აღარაფერი გაკეთებულა. მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან.

მოსახლეობაში მატერიალური ფასეულობის დარიგების გამო წინასაარჩევნო პერიოდში რამდენჯერმე მივმართეთ საჩივრებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და სასამართლოს, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციამ. პარტიები ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკისგან ყოველთვის თავს იკავებენ. ესეც პოლიტიკური კულტურის პრობლემაა. როდესაც ამ თემაზე ვიწყებდით საუბარს, ხშირად გვსაყვედურობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, რომ ჩვენ მხოლოდ ერთ მხარეს ვაქცევდით ყურადღებას. თუ საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო, რომ სხვა მხარეც არღვევდა ნორმებს, რატომ არ რეაგირებდა ამაზე? ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, იმიტომ რომ შემდგომში იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი ფაქტი დავინახეთ და მეორესთან მიმართებაში თვალს ვხუჭავდით, არ იყო სწორი. ძალადობას რაც შეეხება, ასეთი ფაქტები სხვადასხვა სუბიექტების მხრიდან მართლაც იყო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მათზეც უნდა მოეხდინა რეაგირება.

გოგი გვანარია – ბ-ნო გიორგი, შეგიძლიათ დაშინების მაგალითის მოყვანა? რა მექანიზმებს მიმართავდნენ ამომრჩევლის დასაშინებლად?

გიორგი ჩხეიძე – რამდენიმე შემთხვევა შემიძლია გავიხსენო. მაგალითად, მათ, ვისაც პატიმრები ჰყავთ ოჯახის წევრები, მიმართავდნენ, გაეკეთებინათ მხარდამჭერთა სიები და პირდებოდნენ, რომ მათ პატიმრებს გამოუშვებდნენ. ამის შესახებ ჩვენი ორგანიზაციის ადვოკატებსაც მომართეს. ჩვენ მოუწოდეთ მოსახლეობას, ერთად მიგვემართა პოლიციისთვის, დაგვეწერა განცხადება ან საარჩევნო ადმინისტრაციისთვის შეგვეტყობინებინა ამ ფაქტის შესახებ, რათა მას რეაგირება მოჰყოლოდა, მაგრამ ამის გასაკეთებლად მოქალაქეების დაყოლიება ძალიან რთულია.

ლევან თარხნიშვილი – მხარდამჭერთა სიებით არჩევნები არ ტარდება.

გიორგი ჩხეიძე – აქ საუბარია მოქალაქეებზე გავლენის მოხდენაზე. ეს ფსიქოლოგიური ზეგავლენაა. წინასაარჩევნო პერიოდში კომისიის წევრებზეც იყო ძალადობა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან. ეს არ ყოფილა მხოლოდ ერთ რეგიონში. ასეთი ფაქტების შესახებ ვაცნობდით საარჩევნო ადმინისტრაციას და სამთავრობო ჯგუფს, რათა საზოგადოებას ენახა კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირების შედეგი.

პასუხისმგებლობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, იქნებოდა ეს მატერიალური ფასეულობის დარიგება, რესურსის გამოყენება თუ ინფორმაცია დაშინებასთან დაკავშირებით, დროული რეაგირება სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, აქ მხოლოდ ცეცხო არ იგულისხმება, აქ იგულისხმება საოლქო საარჩევნო კომისიებიც, სადაც დანიშნულები არიან პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები, რომლებიც, გვეგონა, იაქტიურებდნენ. თუმცა ეს ასე არ მოხდა. ეს არის თემები, რომლებსაც არ ვეხებით. ამ პროცესთან მიმართებაში საარჩევნო ადმინისტრაცია უფრო აქტიური უნდა

ყოფილიყო. ეს ხელს შეუწყობდა საარჩევნო გარემოს სიჯანსაღეს წინასაარჩევნო პერიოდში და თავად ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ამაღლებას.

წინასაარჩევნო პერიოდის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნაკლებად ვხედავდით დაშინებისა და ზეწოლის ფაქტებს. ასეთი იყო პირველი პერიოდის შეფასება. მეორე პერიოდთან მიმართებაში, ჩვენთან უკვე შემოდიოდა ამ სახის ინფორმაცია. ჩვენ ვცდილობდით მათ გადამოწმებას და ცესკოსთვის ინფორმაციის მიწოდებას და მხოლოდ ამის შემდეგ ლაპარაკს მათზე საჯაროდ. იყო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ასეთი ფაქტებიც, როცა დამკვირვებლების მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საარჩევნო კომისიების მხრიდან იყო გაფრთხილება, რომ დიდად არ ეაქტიურათ არჩევნების დღეს და დარღვევებზე არ მოეხდინათ რეაგირება. ამან არჩევნების დღეზე გავლენა მოახდინა. ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი ფაქტებისთვის უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცია საარჩევნო ადმინისტრაციას, არჩევნების დღეს რეგიონებში პოლიტიკურ სუბიექტებს და კომისიის წევრებს ის პრობლემები აღარ შეექმნებოდათ.

ალისა ვართანიანი, „რუსთავი2“ – ბ-ნო ლევან, თქვენ თქვით, რომ არავინ ლაპარაკობს კომისიის წევრთა მისამართით განხორციელებულ ზეწოლაზე. ასეთი ფაქტები მართლა იყო?

ლევან თარხნიშვილი – მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში გარკვეული ზეწოლა კომისიის წევრებზე მართლაც მიმდინარეობდა. ვგულისხმობ იმას, რაც ხდებოდა მარნეულში ერთ-ერთი პოლიტიკური კანდიდატის მხრიდან, ასევე ზუგდიდსა და სიღნაღში, სადაც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შეიჭრნენ უბანზე და გატეხეს ბიულეტენების ყუთი. ინფორმაციის მხოლოდ ერთი კუთხით წარმოჩენა მოსახლეობაში უნდობლობას იწვევს. მინდა გაგაცნოთ ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები, მათ მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 62% მიიჩნევს, რომ არჩევნები დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდა და საარჩევნო ადმინისტრაციამ ნორმალურად იმუშავა.

ალისა ვართანიანი, „რუსთავი2“ – ბ-ნო გიორგი, თქვენ კანონმდებლობაზე საუბრობდით, თუ შეგიძლიათ დაასახელოთ ხუთი პრინციპული ცვლილება, რომლის შეტანაც აუცილებელია საარჩევნო კოდექსში.

გიორგი ჩხეიძე – ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია წინასაარჩევნო პერიოდთან, რესურსის გამოყენებასთან, მოხელეების მონაწილეობასთან, უნდა გამკაცრდეს და რეალური და ნათელი შეზღუდვები უნდა დაწესდეს. საარჩევნო ადმინისტრაციას უფრო მეტი ვალდებულება უნდა დაეკისროს. მედიას, როგორც ითქვა, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ანგარიშის წარდგენა ევალება, მაგრამ თუ არ წარადგინა, საარჩევნო ადმინისტრაციას არც ბერკეტი და არც ვალდებულება არ გააჩნია, რომ რეაგირება მოახდინოს ამ ფაქტზე. ნორმებში, რომლებიც დაიხვეწა გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით, კვლავ დარჩა თეთრი ლაქები და ისინიც უნდა ამოივსოს. მაგალითად, იყო ასეთი პრობლემა, საარჩევნო უბანში დღის განმავლობაში შესული საჩივრები უბნის დახურვამდე უნდა განიხილოს თუ არა საოლქო კომისიამ. ეს, შესაძლოა, დეტალია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია რეაგირების თავლსაზრისით. უფრო მეტი სიცხადე უნდა იყოს საარჩევნო ფონდების ხარჯვასთან დაკავშირებით. საარჩევნო სუბიექტებს მეტი ვალდებულება უნდა დაეკისროთ. მათ ძალიან დიდი შესაძლებლობა აქვთ, ისე აწარმოონ საარჩევნო კამპანია, რომ ბოლომდე არ იყოს აღწერილი და განსაჯაროებული საარჩევნო თანხების ხარჯვა. რაც შეეხება ვიდეოთვალს, კანონში ნათლად უნდა განისაზღვროს, რომ საზოგადოებისათვის იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს. კანონში მასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვა, ჩემი

აზრით, არ არის სამართლიანი. ვიდუთვალე დამონტაჟებული უნდა იყოს ყველა საარჩევნო უბანზე.

სოსო ცისკარიშვილი – ბ-ნო ლევან, რატომ არ შეიძლება ვიდუთვალის ჩანაწერების ნახვა?

ლევან თარხნიშვილი – ვიდუთვალს თავიდანვე, 2006 წელსაც და შემდგომშიც, ორი ძირითადი ფუნქცია ჰქონდა, პრევენცია და კონკრეტული დარღვევების დამტკიცება-დადასტურება ან უარყოფა. კონკრეტული ფაქტები კი ხდება კონკრეტულ დროში, კონკრეტულ საათზე.

გვანცა ბაკურაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი – მაინტერესებს, რა მიზანი ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, როდესაც პატიმრების ახლობლების ხელმოწერებს აგროვებდა. ეს სია რაში გამოადგებოდათ მათ?

გიორგი ჩხეიძე – ამ ფაქტის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ თუ ამ გზით ხდება საპატიმროებიდან ხალხის გამოშვება, ეს საარჩევნო კანონის დარღვევა არა, მაგრამ სხვა კანონის დარღვევა კი ნამდვილად არის.

პირადობის მოწმობის მონაცემების შეგროვების მთავარი მიზანი კი უფრო მოქალაქეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენაა, ვიდრე ამ მონაცემების შემდგომში გამოყენება.

ლევან თარხნიშვილი – მე ამ ფაქტზე, როგორც დადასტურებულზე, ისე ვერ ვისაუბრებდი, იმიტომ რომ არ მაქვს მისი დამამაიმოწმებელი ინფორმაცია.

თამარ კაკაბაძე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი – როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებზე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით ვაკვირდებოდი და რამდენიმე შეკითხვა მაქვს. ჯერ 5 იანვრის დარღვევებზე მოგახსენებთ. ნაძალადევის რაიონის მე-14 უბანზე უცებ 60-მდე ადამიანი შემოვიდა, გაურკვეველი იყო ვინ ხმას აძლევდა დავინ რეგისტრაციას გადიოდა, ამასთან, აღმოჩნდა, რომ კონვერტების დასალუქი ბეჭედი კომისიის თავმჯდომარეს სახლში ჰქონდა წაღებული.

21 მაისის არცევენზე, ყარაჯალაში, დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ საარჩევნო უბანში კედელზე ჩამოკიდებულ საჩვენებელ ბიულეტენზე 5-იანი იყო შემოხაზული. რამდენჯერმე ჩამოახსენებინეს ეს ბიულეტენი. შემდეგ უბანზე პოლიცია შეიჭრა, ამომრჩევლები და დამკვირვებლები ცალკე ოთახში ჩაკეტა და მათ იქიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. ამაზე სოზარ სუბართანაც არის საჩივარი შესული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს არა აქვთ უფლება ერთდროულად დატოვონ საარჩევნო უბანი. 65-ე უბანზე ორი საათის განმავლობაში არავინ იცოდა, სად იყვნენ ისინი გასულები. როდესაც პრობლემა დავაფიქსირეთ, არ ვიცოდით, ვისთვის მიგვემართა. იყვნენ ყალბი პირადობის მოწმობით მოსული ადამიანებიც.

ავთანდილ კახნიაშვილი, იურისტი – შემაჯამებელი ოქმის პირველ გვერდზე ამომრჩევლის საერთო რაოდენობა სხვა ციფრია, ხოლო ოლქების მიხედვით რომ შევაჯამოთ, სხვა ციფრს ვიღებთ. ეს, არა მარტო ცესკოს ადმინისტრაციის არაპროფესიონალიზმზე, არამედ დარღვევაზეც მიუთითებს. რატომ არ ემთხვევა ეს ციფრები ერთმანეთს?

ლევან თარხნიშვილი – არჩევნების გაყალბებასთან რა კავშირი აქვს ამომრჩევლის საერთო რაოდენობას? საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს ე.წ. ქვედა ბარიერი.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არჩევნების შედეგების დაჯამებაში არ მონაწილეობს. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ შეცდომამ მასში, შესაძლოა, გაყალბება გამოიწვიოს, არაკორექტულია. არც ერთ ქვეყანაში არ არის თანაბარი რაოდენობის საარჩევნო უბანი გახსნილი. არსებობს ვარიაცია და ეუთოს მიერ დადგენილი რეკომენდაცია, რომ ეს ვარიაცია არ აღემატებოდეს 10%-ს, თუმცა შემიძლება დაგისახელოთ ევროკავშირში და ნატოში შემავალი ქვეყნებიც, სადაც ეს ვარიაცია ბევრად უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში.

გოგი გვახარია – საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიღებული სუპერლიბერალური კანონი როგორ შეაფასა ეუთომ?

ლევან თარხნიშვილი – საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საარჩევნო კანონში რამდენიმე ცვლილება შევიდა. დაფიქსირებულია მხოლოდ ორი ფაქტი, როდესაც ადმინისტრაციული შენობების ხელმისაწვდომობა იყო დარღვეული.

გიორგი ჩხეიძე – რეალურად ფაქტი მეტი იყო. როდესაც პოლიტიკურ სუბიექტებს ვეკითხებოდით, მიმართეს თუ არა მათ ოფიციალურად რესურსის გამოყენებაზე, უმეტესობამ გვიპასუხა, რომ ოფიციალურად არავისთვის მიუძღრთავთ, რაც სწორედ დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მიანიშნებს. საქართველოში ზეპირად ხშირად მიმართავენ, წერილობით – ნაკლებად. ჩვენ კითხვა ასე უნდა დავსვათ, ეს კანონმდებლობა მოქმედებს საქართველოში, ეფექტურად მუშაობს თუ არა. შექმნა მან სამართლიანი წინასაარჩევნო გარემო? ეუთომ წინასაარჩევნო გარემოს უარყოფითად შეაფასა. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ როდესაც მანამდე, მარტში, კანონში ცვლილებები შედიოდა, მივედით პარლამენტში და ამ ნორმების დახვეწა შევთავაზეთ, ბოლო დღემდე არ იყო ჩვენთვის ცნობილი, პარლამენტი რა ტიპის ცვლილებებს შეიტანდა. ბოლო დღეს აღმოჩნდა, რომ შეზღუდვები მოიხსნა და გამარტივდა. ამ მოდელის არსებობა დემოკრატიაში, სადაც არსებობს არბიტრები, საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო, შეიძლება გამართლებულიც იყოს, მაგრამ საქართველოში დღეს იგი უარყოფითად მუშაობს.

ლელი დევიძე – ჩიტაძის ქუჩაზე ვიმყოფებოდი დამკვირვებლად და შემიძლია ვთქვა, რომ იქ არჩევნები საოლქო კომისიის წარმომადგენელმა ჩაატარა და არა საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ. საღამოს 8 საათზე სიები არ დალუქულა, პირიქით, იქვე დაიწყეს სიების დათვლა. როდესაც გავაპროტესტე ეს ფაქტი, შეურაცხყოფა მომაყენეს. მე მათ ვუთითებდი, რომ სიები უნდა დაეღუქათ და საოლქო კომისიაში გადაეგზავნათ. არც საოლქო კომისიაში საარჩევნო ყუთის გადატანის პროცესზე დასწრების საშუალება მომეცა. გაყალბებაზე არაფერს ვამბობ, ეს ფაქტები მხოლოდ პოლიტიკური კულტურის დონის დასამოწმებლად მომაქვს.

ირაკლი ზორბალაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ იურისტი – პოლიტიკური კულტურა ჩვენს ქვეყანაში არ არის მაღალი დონის. რა განაპირობებს ამას, ეს რთული საკითხია. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მაინც ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი ქვემდგომი საარჩევნო ადმინისტრაციები მიმაჩნია. ისინი განსაზღვრავენ და ავითარებენ ამომრჩეველში გარკვეულ თვისებებს და უზრუნველყოფენ მათი ნების თავისუფალ გამოვლინებას და დაცვას. ამ კუთხით ჩემეულ შეფასებას გაგაცნობთ. პირველი, რაც უნდა ითქვას, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დადებითი ნაბიჯებიც გადადგა, მაგრამ მნიშვნელოვან საკვანძო ადგილებში მან ვერ დაიცვა ეს უფლებები. საუბარი იყო ამომრჩეველის მოსყიდვაზე, მატერიალური ფასეულობით დაინტერესებაზე, რაც მეტისმეტად დაბალი დონის პოლიტიკურ კულტურაზე მიანიშნებს. ეს აკრძალულია ჩვენი კანონმდებლობით და ამაზე რეაგირების უფლება აქვს ცენტრალურ საარჩევნო ადმინისტრაციას და შემდეგ სასამართლოს. თუმცა პირველად ასეთ ფაქტებს ცესკო განიხილავს. ორი ასეთი ფაქტი ტელევიზიითაც გადაიცა,

ერთს ზესტაფონში ჰქონდა ადგილი. სამთავრობო მაჟორიტარ კანდიდატს, კახა გეწაძეს, უშუალოდ არ გადაუცია თანხა, თუმცა ზესტაფონის საკრებულოს წევრ მიდის 100 წლის ქალბატონთან და გადასცემს 100 ლარს და ეუბნება, რომ ეს თანხა მას დაბადების დღეზე კახა გეწაძემ გაუგზავნა.

ლევან თარხნიშვილი – ძალიან გთხოვთ, თუ ციტირებას ახდენთ, ის ზუსტი იყოს. ამ ადამიანმა ჩამოთვალა საკრებულო, თვითმმართველობა და ხელისუფლება, ამ დროს უკნიდან ისმის ხმა, რომელიც ამბობს, რომ ამაში ბ-ნ კახა გეწაძესაც მიუძღვის წვლილი. რეალურად ასე იყო.

ირაკლი ხორბალაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ იურისტი – ისნის მაჟორიტარი კანდიდატი, გოგუაძე კი, ამომრჩეველს ელექტრონერგიის გადასახადების ჩამოწერას შეპირდა. როდესაც გავასაჩივრეთ ეს ფაქტი, აღმოჩნდა, რომ თურმე შეიქმნა რაღაც კომისია, რომელიც საერთოდ არ უკავშირდება გოგუაძეს და ის დამოუკიდებლად მუშაობს. ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თავისი დამოკიდებულება უნდა დაეფიქსირებინა.

გოგი გვახარია – მესმის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ არის პრეტენზიები და პასუხიც, პირველ რიგში, ცესკოს და ხელისუფლებას უნდა მოეთხოვოს, რადგან მათ მაგალითი უნდა მისცენ ყველას. გაუთავებლად ვლაპარაკობთ მოსყიდვაზე. დღევანდელი დისკუსია, შეგახსენებთ, ამომრჩეველის პოლიტიკურ კულტურასა და ნების გამოხატვის თავისუფლებას ეხება. თუ იყო შემთხვევა, რომ ამომრჩეველმა გამოთქვა პროტესტი და ხმამაღლა განაცხადა, რომ მას ყიდულობენ.

ირაკლი ხორბალაძე, „რესპუბლიკური პარტიის“ იურისტი – ეს არ არის დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი. ეს შიშის ნიშანია. იმისთვის, რომ ადამიანმა თქვას, რომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც კანონით უნდა ხდებოდეს, ამისთვის დარღვევებზე პირველ რიგში მან უნდა ილაპარაკოს, ვინც კომპეტენტურია ამ საკითხში. ამომრჩეველს ვიღაცამ უნდა მისცეს მაგალითი. ასეთი პრეცედენტი არ შექმნილა. კიდევ ერთ ფაქტს გაგაცნობთ, რომელიც ცესკოსადმი ამომრჩეველთა უნდობლობაზე მიუთითებს. იგი 21 აპრილს მოხდა, ეს ის დრო იყო, როდესაც ცესკოში პარტიული სიების წარდგენის ვადა იწურებოდა. ყველა პოლიტიკურ პარტიას უკვე წარდგენილი ჰქონდა თავისი სია, როდესაც ნინო ბურჯანაძე გამოვიდა და თქვა, რომ ის აღარ იყო მმართველი პარტიის სიის პირველი ნომერი.

ლევან თარხნიშვილი – ქ-ნი ნინო გამოვიდა 6 საათსა და 15 წუთზე, სია კი წარდგენილი იყო 6-სს რომ 15 წუთი აკლდა.

ირაკლი ხორბალაძე – ქ-ნ ნინო ბურჯანაძის განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდა ინტერესი, ვინ იქნებოდა სიაში შეყვანილი, მაგრამ სიის ჩვენებაზე უარი გვითხრეს, გვიპასუხეს, რომ ის ოთახი, სადაც სია ინახებოდა, დაკეტილი იყო, გასაღები კი წაღებული ჰქონდათ. მერე, როდესაც მოიტანეს გასაღები, აღმოჩნდა, რომ სია სხვა ოთახში იყო შენახული. ყოველივე ეს უნდობლობას იწვევს.

თამარ კაკაბაძე, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი – „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, კონკრეტულად, ლაშა ჟვანიას შტაბის წევრები დადიოდნენ და კითხვარს ავსებინებდნენ მოსახლეობას იმის შესახებ, თუ რა მოლოდინი ჰქონდათ დეპუტატობის კანდიდატისგან და რას სთხოვდნენ მას. მე მობილური ტელეფონი და 100 ლარი ვითხოვე. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან მოვიდა „ნაციონალური მოძრაობის“ იგივე წარმომადგენელი,

მომიტანა ჩემი შევსებული კითხვარი და მითხრა, რომ ბ-ნმა ლაშა ჟვანიამ შემისრულა სურვილი და თუ მე მას ხმას მივცემდი, ეს თანხაც გადმომეცემოდა და ახალი ტელეფონიც. მე ამ ადამიანს სასამართლოში წაყვანა დაუპირე, მაგრამ ამის შემდეგ ჩემს ოჯახზე ზეწოლა დაიწყო.

ნინო ლეჟავა, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი – დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან მობრძანებისთვის, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი დისკუსია ნელ-ნელა ბ-ნ ლევან თარხნიშვილთან პრესკონფერენციას ემსგავსება. დისკუსიის კულტურის წარმოება პოლიტიკური კულტურის ნაწილია. შევეცდები, ცოტა კალაპოტში ჩავსვა ჩვენი დისკუსია, თუმცა საკუთარი გამოცდილების გაზიარებაც მინდა. ის კითხვა, რომელიც მექმნება ბ-ნ გიორგისთან და ბ-ნ ლევანთან, არ არის მხოლოდ წარსულზე ორიენტირებული, ის მომავალს უფრო უკავშირდება. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, მომავალში რა იქნება. საინტერესოა, რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თუნდაც ასეთი ტიპის საზოგადოებაში ამდენი უცნაური კითხვა აღარ დაისვას და ასეთი გაღიზიანება არ არსებობდეს ყველა მხრიდან, როგორსაც ახლა ვაწყდები.

ბ-ნო ლევან, 21 მაისს მეც ვიყავი დამკვირვებელი. მსურდა საკუთარი აზრი შემქმნოდა კონკრეტულ უბნებზე საარჩევნო პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. ტრენინგის გავლის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ უბანზე წავედი დამკვირვებლად. ეს ის უბანი იყო, სადაც მეც მქონდა ხმის მიცემის საშუალება. ჩემი პირადი დაკვირვებით, საარჩევნო ადმინისტრაციის ამ კონკრეტული უბნის წარმომადგენლებმა კარგად არ იცოდნენ საკუთარი მოვალეობა, რის გამოც უბანზე ქაოსი სუფევდა. დამკვირვებლებს ხშირად გვიწევდა მიმითებლის როლის ტაპაში, თუმცა ეს არ არის დამკვირვებლის ფუნქცია. ვაკის უბანში, არჩევნებამდე ორი დღით ადრე, „მრეწველების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა, ჯანგირაშვილმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ არჩევნების დღეს, დღის 12 საათისთვის აღმოვაჩინე, რომ ბიულეტენებში კომისიის წევრები, უბრალოდ ხაზავდნენ ამ კანდიდატის სახელს და გვარს. ეს იყო ის ინფორმაცია, რომელიც მიეწოდებოდა ამომრჩეველს. როცა მათ მიეუთითე იმის შესახებ, რომ კანონის იხედვით, ეს ბიულეტენები ბეჭდით უნდა იყოს აღნიშნული, თქვეს, რომ წინა დღეს ამის თაობაზე საოლქოში სხვა რამ უთხრეს, მერე გადარეკეს საოლქო კომისიაში და ბოლოს, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, პირველის ნახევრისთვის გაგრძელდა ბიულეტენებზე მისი დასმა. ეს ერთი პატარა და კონკრეტული მაგალითია, მაგრამ მაინტერესებს ტენდენცია თუ იყო. იმიტომ რომ ამავე უბანზე აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ამომრჩეველი, რომელიც გატარებული იყო სიაში, მათი მშობლები, და-ძმა, მოდიოდნენ და ხელავდნენ, რომ სიაში მათი გვარების გვერდით ხელმოწერა იყო გაკეთებული. მაშინ როცა, ის ადამიანები, არათუ საქართველოში არ იმყოფებოდნენ, არამედ საქართველოს მოქალაქეებიც კი აღარ იყვნენ. მათ მოიტანეს ამის დამადასტურებელი საბუთები. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ უბანში ტენდენცია იყო. რა კეთდება იმისათვის, რომ მომავალში ეს თემა კვლავ არ გახდეს დისკუსიის საგანი.

ლევან თარხნიშვილი – ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომლებიც ჩაატარებენ პრესკონფერენციებს, დაასახელებენ რამდენიმე გვარს, ილაპარაკებენ ასობით ადამიანის სახელით, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ცესკოს თავმჯდომარე, ასეთი ადამიანები ყოველთვის მოიძებნებიან, ასე რომ ასეთი სახის დისკუსიებიც ყოველთვის ჩატარდება. ნებისმიერ სიას აქვს ცდომილება, მაგრამ იგი არ აღემატება დასაშვებ ზღვარს.

გიორგი ჩხეიძე – მე არ ვიცი, ტენდენციას ჰქონდა თუ არა ადგილი თბილისში. მართლაც დაფიქსირდა ასეთი შემთხვევა, ჩვენც მოგვმართა რამდენიმე ადამიანმა, რომელთა ახლობლებიც თბილისში არ იყვნენ, მათი გვარების გასწვრივ კი ხელმოწერა იყო გაკეთებული. ეს მხოლოდ ერთ-ორ უბანში მოხდა. რაც შეეხება იმას, რა უნდა გაკეთდეს, რომ ასეთი საუბარი აღარ გაიმართოს – თებერვლის დასაწყისში რამდენიმე ორგანიზაციამ

გამოაქვეყნა ათი წინაპირობა, რა უნდა გაკეთებულიყო საპარლამენტო არჩევნებისთვის. სიებზე ვერაფერს ვიტყვი, მე არ მაქვს იმის კომპეტენცია, ვილაპარაკო, სიები გაყალბებული იყო თუ არა. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობდით, რომ სამწუხაროდ, იანვრიდან მოყოლებული, 10 აპრილამდე, ვიდრე სიები საჯარო არ გახდა, არ იყო ნათელი, რას აკეთებდა საარჩევნო ადმინისტრაცია სიების დასაზუსტებლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ საკითხის მიმართ დახურული კარის პოლიტიკა წარმოებდა, რაც ჩემთვის დღემდე გაუგებარია. იმისათვის, რათა მსგავს თემაზე არ მოხდეს პოლიტიკური სპეკულირება, საარჩევნო ადმინისტრაციამ ღია კარის პოლიტიკა უნდა აწარმოოს, იმიტომ რომ საარჩევნო სიები არის ის პრობლემა, რომლის დროსაც ერთადერთი გამოსავალია რაც შეიძლება ღია იყოს პროცესი.

ლევან თარხნიშვილი – ყველას ჰქონდა სიაში თავის გადამოწმების საშუალება მობილურით, ინტერნეტით, ან უშუალოდ უბანზე მისვლით.

შორენა შავერდაშვილი, ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“ – როდის ხდება ფაქტი ტენდენცია? რამდენი საჩივარი შემოვიდა სულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“. რამდენი კონკრეტული ფაქტი აღნუსხა ორივე ორგანიზაციამ და შეიძლება თუ არა ამ შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ არჩევნების ხარისხზე. ძალიან ძნელი ხდება მითის და რეალობის გამოიჯვნა ამ საკითხში. როგორც მე ვიცი, საერთაშორისო ორგანიზაციებს საბოლოო დასკვნა საპარლამენტო არჩევნების შესახებ არ წარმოუდგენიათ. დარღვევები ნამდვილად იყო, მაგრამ გახდა თუ არა ეს ტენდენცია, რომელიც რეალურ შედეგს იქონიებდა არჩევნების პროცესზე.

გიორგი ჩხეიძე – შეუძლებელია არჩევნების მხოლოდ 21 მაისით შეფასება. ჩვენ უნდა გავითავალისწინოთ არჩევნების წინა და შემდგომი პერიოდები. არჩევნებამდე და არჩევნების დღეს დარღვევების შესახებ ჩვენს ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ, დაახლოებით ოცამდე საჩივარი შემოვიდა წინასაარჩევნო პერიოდში. არჩევნების დღეს 147 საჩივარი შემოვიდა, შემდგომ პერიოდში – 96. მაგრამ ეს ციფრები არაფერს ამბობს. ჩემი შეფასებით, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს მხრიდან ტენდენცია იყო არასწორი მიდგომა ამ საჩივრების განხილვის მიმართ. არჩევნების დღეს ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს დამკვირვებლებზე ზეწოლა და საღამოს 8 საათის შემდეგ მათი უბნებიდან გამოძევება, რამაც ხელი შეუშალა კონკრეტულ დარღვევებთან დაკავშირებით საჩივრების წარმოდგენას. დარღვევებიდან გამომდინარე, ტენდენციაზე საუბარი ძნელია. ძნელია იმის თქმაც, გაყალბდა საქართველოში არჩევნები თუ არა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ თბილისში, არცევნების დღეს, პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით დაფიქსირდა ნაკლები საჩივარი, ვიდრე რეგიონებში. სამწუხაროდ რეგიონებში ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებს. ყველაზე დიდი პრობლემა პასიურობაა. საჩივრები დამკვირვებლების გარდა არავის წარმოუდგენია. რით იყო ეს განპირობებული, შიშით, უცოდინრობით თუ მოსყიდვით, ამას ჩვენი პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან შესწავლა სჭირდება.

ლევან თარხნიშვილი – 21 მაისის შემდეგ საუბნო კომისიებში შესული 854 განცხადება-საჩივრიდან 290 დაკმაყოფილდა. საოლქოში შევიდა 318 საჩივარი, მათგან 90 დაკმაყოფილდა. ცესკოში შემოვიდა 50 საჩივარი, აქედან დაკმაყოფილდა 10. სულ, არჩევნების დღეს, პრობლემურ უბნად ჩაითვა 50 უბანი, მათგან გაუქმდა 43 უბნის მონაცემები.

ეკა წერეთელი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი – ბ-ნმა ლევანმა მალტის ფაქტი გაიხსენა. ეს ძალიან ნიშანდობლივი შემთხვევაა, მაგრამ კარგი იქნება, თუ მმართველ პარტიასაც მოუწოდებთ, რომ შეეცადოს ხანდახან საკუთარი შეცდომების აღიარებას და ნაკლები

აგრესიის გამომჟღავნებას. რას აკეთებს ცესკო იმისთვის, რომ მის მიმართ საზოგადოებაში არსებული უნდობლობა აღმოფხვრას, რა ნაბიჯები იღებდა ამისთვის?

გოგი გვახარია – რა არის მთავარი, ცესკოს მიმართ ნდობის აღდგენა თუ პოლიტიკური კულტურის ამაღლება, რომლისთვისაც უნდა იზრუნოს ცესკომ?

ირაკლი ხორბალაძე – პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით, ცესკო უნდა განსაზღვრავდეს სტანდარტს. რა იყო ცესკოს სტანდარტი 21 მაისს, შუადღის 2 თუ 3-საათიან გამოშვებაში, როდესაც გამოვიდა პრესსპიკერი ზურაბ კაჭკაჭიშვილი და განაცხადა, როგორ ჩაიღო რომელიღაც უბანში ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელმა ქვედა საცვალში ოქმი.

ლევან თარხნიშვილი – სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა არაობიექტურობაზე ვლაპარაკობდი. თქვენ აღგამფოთათ ქვედა საცვლის ხსენებამ, მაშინ როცა მთელი ამ ხნის განმავლობაში ცესკოს ლანძღავდნენ და აგინებდნენ. მაშინ თითქმის არავის გაუპროტესტებია ეს ფაქტი. ეს არის სწორედ ორმაგი სტანდარტი.

ლალი დევიძე – პოლიტიკური კულტურის შექმნაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს როგორც ხელისუფლებამ, ისე ოპოზიციამ, მედიამ, არასამთავრობო სექტორმა და რა თქმა უნდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელმა ისიც კი იკითხა, თუ ტარდებოდა საქართველოში ტრენინგები არჩევნების თემაზე.

გიორგი ჩხეიძე – ამ თემებზე მუდმივად უნდა ვისაუბროთ, ვიდრე არჩევნების პერიოდი მოვა და საარჩევნო ადმინისტრაცია და პოლიტიკური სუბიექტები მარტოები არ აღმოჩნდებიან ამ პრობლემების წინაშე. ყველამ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, მათ შორის პოლიტიკურმა სუბიექტებმაც, რომ კანონში ცვლილებები იქნება, თუ განათლება ამ სფეროში, რაღაც წვლილი შეიტანონ ამ პროცესში. კანონი როგორც არ უნდა დაიხვეწოს, თუ ის სწორად არ გამოვიყენეთ, ჩვენ არ გვექნება ისეთი საარჩევნო სისტემა, როგორსაც ვისურვებდით. ყველაზე რთული და ეფექტური ფორმაა, არჩევნების გზით ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა ამომრჩევლებს შორის და უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალ არჩევნებზე ეს მოხდეს კანონში ცვლილებებით, განათლებით და რაც ყველაზე მთავარია, პრობლემებზე რეაგირებით. სამოქალაქო განათლება ეხება საზოგადოებასაც და პოლიტიკურ სუბიექტებსაც. მარტო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ უნდა ავკიდოთ პასუხისმგებლობა. მან მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ამ პროცესში, მაგრამ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდანაც უფრო მეტი ნება უნდა იყოს ამ პროცესში მონაწილეობის მხრივ.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა, დისკუსია დასრულებულია.

